

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N73

ქ.თბილისი

29 იანვარი, 2021 წელი

16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის ძოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

ლევან არველაძე

გულია გოცირიძე

ოთარ გრიგოლია

ლევან დავითაშვილი

ლევან დარახველიძე

გიორგი დოხტურიშვილი

ერეკლე კუხიანიძე

ანა ლაშხი

ზაზა მამალაძე

ქეთევან მამულაშვილი

მიხეილ მესხი

თინათინ ნიბლოშვილი

შალვა ოგბაძე

ვაჟა ოთარაშვილი

ლევან ჟორჟოლიანი

დათო რურუა

ნინო რუხაძე

რევაზ სოხაძე

დავით უთმელიძე

ბორია ფირცხელიანი

ვახტანგ შაქარიშვილი

ავთანდილ ცინცაძე

ვლადიმერ ძნელაძე

დავით ჭელიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ლევან ჯაფარიძე

ილია ჯიშკარიანი

ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ ქობულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი დავით კვინიკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ლევან ჯღარკავა;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ბექა მიქაუტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ლევან ნაროუშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა კომპანია „GWP“-სთან დაკავშირებულ პრობლემებზე და განაცხადა, რომ კომპანია ან არ ასრულებს, ან ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თვეების და ხშირად წლების განმავლობაშიც კი კომპანია ან საერთოდ არ ატარებს, ან უხარისხოდ აწარმოებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტსაც. მისი თქმით, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „GWP“-ს კომუნიკაციები გადის კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე და თუ მესაკუთრეს სურს „GWP“-ს კომუნიკაციის გატანა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან, კომპანია მას სთხოვს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულების ჩარიცხვას „GWP“-ს ანგარიშზე, რაც შეიცავს დანამაულის ნიშნებს, რადგან, როდესაც არ იცი ზუსტად რა თანხის სამუშაო შესასრულებელი, წინასწარ თანხის მოთხოვნა, ფინანსური სახსრების უკანონო მოზიდვაა. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ საკრებულო და მერიის შესაბამისი სამსახურები ერთობლივად შეხვედებიან „GWP“-ს წარმომადგენლებს და მოისმენენ მათგან განმარტებას, თუ რატომ არ ასრულებს კომპანია თავის მოვალეობებს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს კომპანია „GWP“-სთან ჰქონდა არაერთი სამუშაო შეხვედრა და მომავალშიც ექნება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია საკრებულოს მაჟორიტარი წევრებისა და თბილისის რაიონების გამგებლების ჩართულობა, რადგან ხსენებული კომპანიის სერვისი პირდაპირ კავშირშია თითოეული ჩვენი თანამოქალაქის კომფორტულ ცხოვრებასთან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზეთანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭილაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

6. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ.: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ.: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 1500კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 72.13.06.356) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოვიძის ქუჩა N26-ში არსებული 201 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.104) ააიპ - საქართველოს ებრაელთა კავშირისთვის (ს/ნ.: 404386080) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, დოესის ქუჩა N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.013.003.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.037.115) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.199.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის 8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.045.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ტერიტორიაზე არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.041) 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Orga№ica“-სთვის (ს/ნ.: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი N12-ის მიმდებარედ არსებული, 1222.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.007.173) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქ.თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალი (ნაკვ. 43/7) (ს/კ.: N01.13.03.043.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით იმა „დიღომი 2007“-ის (ს/კ.: 202469113) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

26. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1^ა-1^ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N 45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ეპიკ ისანის“ (ს/ნ.: 401992368) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ბ.ხმელნიცკის ქუჩა N48 (ს/კ.: N01.17.11.027.065) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

27. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1^ა-1^ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N 45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ბაგების“ (ს/ნ.: 405330262) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ბაგები (ნაკვეთი 07/011), წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.14.06.007.088) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

28. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1^ა-1^ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N 45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ჯბჯ“-ს (ს/ნ.: 443867380) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ქერჩის ქუჩა N12, (ს/კ.: N01.11.05.029.380) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

29. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1-1^ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.№ 45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ №10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ჯბჯ“-ს (ს/ნ.: 443867380) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, „ჩალიპირები“, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა №1 (ს/კ.: N01.72.14.055.195) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

30. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1-1^ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.№ 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.№10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957), როინი ლუტიძის (პ/ნ.: 01017023780), გიორგი პირველის (პ/ნ.: 01012029501), იოსებ ჯანიაშვილის (პ/ნ.: 01002003714) და ვიქტორ ორდინიძის (პ/ნ.: 01033002445) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ვასო გომიაშვილის ქუჩის V შესახვევი №1, ვასო გომიაშვილის ქუჩა №59 (ს/კ.: N01.10.10.015.051) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

31. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1-1^ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.№ 45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.№10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ახალი ვარსკვლავი 2015“-ის (ს/ნ.: 406136140) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.№1^ბ/გიგო ზაზიაშვილის ქ.№2 (ს/კ.: N01.16.02.040.002) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

32. „თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

33. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

34. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.21.03.030, N01.19.36.014.452,

N81.21.03.024, N01.19.36.014.449, N81.21.03.027, N81.21.03.025, N81.21.03.029, N01.19.36.014.453, N01.19.36.014.454, N01.19.36.014.455, N01.19.36.014.456, N01.19.36.014.457, N01.19.36.014.525, N01.19.36.014.526, N81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის N2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.21.03.030, N01.19.36.014.452, N81.21.03.024, N01.19.36.014.449, N81.21.03.027, N81.21.03.025, N81.21.03.029, N01.19.36.014.453, N01.19.36.014.454, N01.19.36.014.455, N01.19.36.014.456, N01.19.36.014.457, N01.19.36.014.525, N01.19.36.014.526, N81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის N2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდომვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის დასაგეგმარებლად“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 9 დეკემბრის N01/1863 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ NI/10/6/1/12 მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის N20/754 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისი, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.15.238; N72.16.15.587; N72.16.15.511) და მიმდებარედ უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.994; N72.16.23.098; N72.16.23.099; N72.16.23.609; N72.16.23.622; N72.16.23.616) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დილოში, თეთრი გიორგის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

41. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის VI შესახვევისთვის, ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის მსახიობის ხათუნა ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

42. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბანაკის დასახლების II ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის პოეტის ვანლერ დაისელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

43. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბომბორას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბომბორას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

44. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მერაბ კოსტავას III ჩიხის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

45. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, თიანეთის ქუჩის გაგრძელებისა და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის თიანეთის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

46. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის საინგილოს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

47. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საინგილოს ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწე ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

48. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

49. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიაბის ქუჩის I შესახვევის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

50. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განაცხადა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობაზე წარდგენილ ოთხივე კანდიდატს კარგად იცნობს საკრებულოს თითოეული წევრი, რადგან წლებია, ერთ გუნდად, წარმატებით ეწევიან საერთო საქმიანობას. მისი თქმით, თითოეული მათგანი არის გამოცდილი, პროფესიონალი კადრი და მათი საქმიანობა ახალ პოზიციებზე კიდევ უფრო წარმატებულები იქნება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 15000000 ლარით ქონების გადასახადის შემცირება, რაც გამოწვეულია 2021 წელს აღნიშნული გადასახადისგან ტურიზმის ბიზნესის გათავისუფლებით, 69000000 გარდამავალი ნაშთიდან 41000000 ლარი არის სხვადასხვა პროგრამებში შეუსრულებლობა, რომლის ძირითადი ნაწილია გარდამავალი ხელშეკრულებები, 28300000 ლარი არის შემოსავლების გადაჭარბება და 900000 ლარი ემატება ბანკის პროცენტი. წარმოდგენილი ცვლილებებით, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი იზრდება 55107000 ლარით, რომელიც გადანაწილდება პრიორიტეტების მსხედვით და სხვადასხვა ოდენობის თანხები დაემატება: ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, ტრანსპორტის სუბსიდიას, ახალი ავტობუსების შეძენას, კრწანისის რაიონის გამგეობას, გარემოს დაცვის მიმართულებას, მერიის სარეზერვო ფონდს, ბაღების სააგენტოსა და ინფრასტრუქტურის სამსახურს.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობისთვის სერიოზული პრობლემაა მიუსაფარი ძაღლების საკითხი და დაინტერესდა, რაში დაიხარჯება ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის გათვალისწინებული 4000000 ლარი და რა დონეზე მოგვარდება აღნიშნული პრობლემა ამ თანხით, კერძოდ, 2021 წელს შეიცვლება თუ არა რამე უკეთესობისკენ ამ მიმართულებით, თუ საუბარია გრძელვადიან გეგმაზე და მომავალ წლებშიც საჭირო იქნება თანხების გამოყოფა.

გიორგი დოხტურიშვილმა განაცხადა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, ბევრი ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი, მათ შორის ვოლიერების დამატების, ადმინისტრაციული შენობის და მომსახურე პერსონალის კუთხით. როგორც მისთვის ცნობილია, ხსენებული 4000000 ლარი მოხმარდება ადმინისტრაციული შენობის და ვოლიერების მშენებლობას. თუმცა, მისი აზრით, უმჯობესია აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი მოხმარდეს ცხოველებისთვის ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო აპარატურის და ინვენტარის შეძენას, ვიდრე ერთი კონკრეტული შენობის მშენებლობას.

ლევან ჟორჯოლიანმა აღნიშნა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტში ასევე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, ერთ-ერთ ა(ა)იპ-ს შეეცვალა სახელი და იქიდან გამომდინარე, რომ მას შემდგომში არ შეექმნას პრობლემა ხაზინასთან, საჭიროა ა(ა)იპ-ს სახელის ცვლილების ასახვა ბიუჯეტში. მან ასევე, ისაუბრა სხვადასხვა ორგანიზაციების თუ ცხოველთა დამცველების მიერ, სოციალურ ქსელში ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებზე და აღნიშნა, რომ უკეთესი იქნება, სააგენტომ ამ ორგანიზაციებთან იქონიოს უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და მაქსიმალურად ადეკვატურად უპასუხოს მათ მიერ გაყდერებულ საკითხებს, იქნება ეს რჩევები თუ პრეტენზიები, რადგან ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ინტერესშია, როგორც ადამიანების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა, ასევე, პოპულაციური მართვა.

მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ მას მიმართა ცხოველთა დაცვის რამდენიმე ორგანიზაციამ, რომლებიც აცხადებენ, რომ ბოლო პერიოდში ცხოველთა სტერილიზაცია და აცრები არ ხორციელდება იმ მასშტაბით, როგორც ეს ხდებოდა წინა წლებში. განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, საჭიროა ინფორმაციული სიმყარე და მიმართა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენელს, რომ სამსახურმა უზრუნველყოს საზოგადოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ამ მიმართულებით.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის გამოყოფილი დაფინანსება „გადაყრილია წყალში“, რადგან მიუსაფარი ძაღლების აცრებში თანხის გადახდა არასწორი პოლიტიკაა. მისი თქმით, უნდა აშენდეს ერთი შენობა, სადაც განათავსდნენ მიუსაფარ ძაღლებს, რაც უზრუნველყოფს მათგან ქუჩების, სკვერებისა და ბაღების

დაცარიელებას და ამ მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარებას, რაც შეეხება 4000000 ლარს, მისი თქმით, უმჯობესია ეს თანხა მოხმარდეს გაჭირვებულ და გაღარიბებულ მოსახლეობას და რადგან ეს ასე არ არის, წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭერს.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ცხოველთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ხშირ შემთხვევაში, არსებულ ვითარებას აღიქვამენ ჰიპერბოლიზებულიად, რადგან მათ ემოციური კავშირი აქვთ ძაღლებთან მიმართებაში და აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ობიექტური რეალობა აცდენილია არსებულ ვითარებას. რაც შეეხება მიუსაფარი ძაღლების ოპერაციებს, მათი რაოდენობა გაზრდილია და ზოგადად, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, სტრუქტურულად, გაცილებით უკეთ მუშაობს, ვიდრე წინა წლებში. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქი არის მიუსაფარი ძაღლებით „გადავსებული“ და ამ პრობლემის მოგვარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, კარგი იქნება, ფართო ფორმატში მოეწყოს სამუშაო შეხვედრა, სადაც დეტალურად იქნება განხილული ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთვის გამოყოფილი 4000000 ლარის განკარგვისა და ეფექტურობის საკითხი.

ნიკოლოზ ქობულაძემ აღნიშნა, რომ თბილისში ძალიან ბევრი მიუსაფარი ძაღლია, ხოლო ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო თავისი შესაძლებლობების ზღვარზეა მისული და სწორედ ამიტომ გახდა საჭირო დამატებითი დაფინანსების გამოყოფა. მისი თქმით, ერთადერთი პრაქტიკული გზა, რომელიც გვიჩვენა ევროპულმა და ამერიკულმა გამოცდილებამ, არის ის, რომ გაკეთდეს უფრო მეტი ოპერაცია, რის ხარჯზეც შემცირდება მიუსაფარი ძაღლების ზრდის რაოდენობა. სააგენტოსთვის გამოყოფილი თანხა სამსახურს მისცემს შესაძლებლობას, რომ 4-5 წლის განმავლობაში განახევრდეს მიუსაფარი ძაღლების რაოდენობა და სწორედ ამ მიზნით, არსებულ თავშესაფარს დაემატება ვოლიერები, პოსტოპერაციული სივრცეები, სამედიცინო ინვენტარი და ადამიანური რესურსი. ადამიანური რესურსის დამატების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ, ამ ეტაპზე, სააგენტოს არ ჰყავს მიუსაფარი ძაღლების დაჭერის, მოვლის და მათთვის ოპერაციის გაკეთებისთვის საკმარისი რაოდენობის მომსახურე პერსონალი. მისი თქმით, იმისთვის, რომ, დროთა განმავლობაში, შემცირდეს მიუსაფარი ძაღლების რაოდენობა, საჭიროა მათთვის გამრავლების უნარის შეზღუდვა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემდგომ, სააგენტო შემლეს გააკეთოს ბევრად მეტი ოპერაცია, რაც, რამდენიმე წელიწადში, მკვეთრად გააუმჯობესებს მიუსაფარი ცხოველების მიმართულებით დღეს არსებულ პრობლემას.

ვლადიმერ ძნელაძემ განაცხადა, რომ მიუსაფარი ძაღლების მიმართულებით არსებული პრობლემა საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და მუნიციპალიტეტის მიერ ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები მისასალმებელია და გამოთქვა მოსაზრება, რომ ფისკალური ეფექტის მიღების თვალსაზრისით, უმჯობესია ხომ არ იქნება, თუნდაც ერთი წლის განმავლობაში, აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში ჩაერთოს კერძო სექტორიც.

ნიკოლოზ ქობულაძემ განმარტა, რომ თბილისში არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თავისი ძალებით ახორციელებენ მსგავს ღონისძიებებს, თუმცა სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული კომპონენტი არის ცხოველის დაჭერა, რასაც, სააგენტო ახორციელებს შესაბამისი ცოდნისა და აღჭურვილობის მქონე ადამიანების მეშვეობით. რა თქმა უნდა, თეორიულად, შესაძლებელია ამ საქმიანობაში კერძო სექტორის ჩართვა, თუმცა, არა მხოლოდ ჩვენი, არამედ უცხოური პრაქტიკაც აჩვენებს, რომ პრობლემის მოგვარების ყველაზე კარგი და სწრაფი მეთოდი არის ის, რომ აღნიშნული საქმიანობა განახორციელოს ერთმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მიუსაფარი ძაღლების მიმართულებით არსებული პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია და ამ კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრისთვის საკრებულოს, შესაბამის სამსახურთან ერთად, მოუწევს აქტიური მუშაობა. მისი თქმით, დღევანდელი გადაწყვეტილება, ერთმნიშვნელოვნად, შეუწყობს ხელს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ეფექტურ ფუნქციონირებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ლევან ჟორჯოლიანის მიერ გაჟღერებული ტექნიკური ხასიათის ცვლილების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ პროექტი ეხება „ახალი კორონა ვირუსის - COVID-19“ პანდემიით გამოწვეულ შედეგებთან ბრძოლას და ხელშემწყობ ღონისძიებებს. ამ შემთხვევაში, წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის და მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების საკუთრებაში არსებული და მათ ბალანსზე რიცხული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებების მოსარგებლეებისთვის საიჯარო ქირის გაუქმება 2020 წლის დეკემბრის და 2021 წლის იანვრის თვეებზე. აღსანიშნავია, რომ შეღავათი შეეხება დაახლოებით 600 ხელშეკრულებას, ხოლო საერთო თანხა შეადგენს 1352000 ლარს. ასევე, იმ პირებს, რომლებსაც 2020 წლის პირველი მარტიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდზე გადაუხდელი აქვთ უძრავი ქონებით სარგებლობის საფასური, გადასახადის გადახდისთვის ეძლევათ დამატებით 6 თვე, თუმცა, აღნიშნული შეღავათი არ შეეხება კომერციულ ბანკებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც, წარმოდგენილია გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, კერძოდ, მუნიციპალიტეტისგან, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების მოსარგებლეები თავისუფლდებიან საიჯარო ქირის გადასახადისგან დამატებით ერთი თვის ვადით ანუ 2021 წლის იანვრის თვეშიც. აღსანიშნავია, რომ შეღავათი შეეხება დაახლოებით 153 ხელშეკრულებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ.: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ.: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება განპირობებულია „ახალი კორონა ვირუსის - COVID-19“ პანდემიის გამო, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით დაწესებული შეზღუდვებით. იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიის პირველი ტალღის დროს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდული იყო დაახლოებით 45 დღე და დღესაც შეზღუდულია, ხოლო ხსენებული ხელშეკრულების ძირითადი პრინციპი იყო კონტრაქტის ვადა, წარმოდგენილია კომპანიასთან ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 18 თვის ვადით და ასევე, 6 თვით გადაიწევს თებერვლის თვეში გადასახდელი 4900000 ლარის გადახდის ვადაც.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ აღნიშნული არ შეეხება ამ პერიოდში დარიცხულ პირგასამტეხლოს, ხოლო რაც შეეხება ვადის გადაწევას, ლოგიკურია, რადგან, პანდემიის პერიოდში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა უკვე მეორედ არის შეჩერებული. მან, ასევე, მიმართა ირაკლი თავართქილაძეს, რომ კარგი იქნება, უახლოეს მომავალში დაიწყონ მსჯელობა იმ მოდელზე, თუ რა იქნება აპრილის შემდეგ, როდესაც დასრულდება ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 1500კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 72.13.06.356) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა საქართველოს საპატრიარქოსთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ში არსებული 201 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.104) ააიპ - საქართველოს ებრაელთა კავშირისთვის (ს/ნ.: 404386080) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება, სარიტუალო დანიშნულების შენობის განთავსების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 1174 კვ.მ. ფართის გადაცემა ოცდათხუთმეტი ოჯახისთვის, რომლებიც 1990-2012 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

